

ამერიკის სამართლის ინსტიტუტი

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტთან

ერთად

სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში
სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული
სახელმძღვანელო

2000 წლის მაისში, ვაშინგტონში
ამერიკის სამართლის ინსტიტუტის

მიერ

ტრანსნაციონალურ გაკოტრებაში მიღებული და გავრცელებული ფორმით:
ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ("ნაფტა") წევრ
სახელმწიფოებში შორის თანამშრომლობის პრინციპები

და

2001 წლის ივნისში, ნიუ იორკში
საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის

მიერ მიღებული ფორმით

ამერიკის სამართლის ინსტიტუტი

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი

პენსილვანია 19104-3099, ფილადელფია
ჩესნათ სთრიტი, 4025

ტელეფონი: (215) 243-1600
ფაქსი: (215) 243-1636
ელ.-ფოსტა: ali@ali.org
ვებ-გვერდი: <http://www.ali.org>

ონტარიო M5H 3C2, ტორონტო
კინგ სთრიტი ვესტი, 40
სქოთია პლაზა, ბ. 2100

ტელეფონი: (416) 869-5757
ფაქსი: (416) 360-8877
ელ.-ფოსტა: info@iiiglobal.org
ვებ-გვერდი: <http://www.iiiglobal.org>

საავტორო უფლება © 2003
ამერიკის სამართლის ინსტიტუტი

ყველა უფლება დაცულია
დაბეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში

საერთაშორისო საგაგოტრებო ინსტიტუტი მადლობას უცხადებს ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს ფრანგულ/ინგლისურ გამოცემასთან დაკავშირებით გაწეული დახმარებისათვის:

- ტორონტოს კომერციულ მომხმარებელთა რეესტრის კომიტეტი;
- ქასსელს ბროკ ენდ ბლექველი, ტორონტო;
- პოლიეტ მერკური, მონრეალი;
- სტაიკმენ ელიოტი, ტორონტო.

მათა დახმარებამ შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს ფართო გავრცელება კანადაში.

სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ, როგორც მისი "ტრანსნაციონალური გაკოტრების პროექტის" ნაწილი და სახელმძღვანელოს გამოყენება სხვადასხვა სახელმწიფოში მიმდინარე სამართალწარმოებებში ნებადართული და რეკომენდირებულია.

სახელმძღვანელოს ტექსტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე და რამოდენიმე სხვა ენაზეც, მათ შორის ჩინურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, იაპონურ, კორეულ, პორტუგალიურ, რუსულ, შვედურ და ესპანურ ენებზე, საერთაშორისო საგაგოტრებო ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: <http://www.iiiglobal.org/international/guidelines.html>.

თანდართული თარგმანი ფრანგულ ენაზე მომზადდა, გამოქვეყნდა და გავრცელებულ იქნა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის ნებართვით. ამერიკის სამართლის ინსტიტუტი და საერთაშორისო საგაგოტრებო ინსტიტუტი მადლობას უხდის ბ-ნ რობერტ ტესიეს (პოლიეტ მერკური, ს.ე.ნ.ც., მონრეალი) თარგმანისას გაწეული დახმარებისათვის.

ამერიკის სამართლის ინსტიტუტი

საერთაშორისო საგაგოტრებო ინსტიტუტი

პენსილვანია 19104-3099, ფილადელფია
ჩესნათ სთრითი, 4025

ტელეფონი: (215) 243-1600

ფაქსი: (215) 243-1636

ელ-ფოსტა: ali@ali.org

ვებ-გვერდი: <http://www.ali.org>

ონტარიო M5H 3C2, ტორონტო

კინგ სთრით ვესტი, 40

სქოთია პლაზა, ბ. 2100

ტელეფონი: (416) 869-5757

ფაქსი: (416) 360-8877

ელ-ფოსტა: info@iiiglobal.org

ვებ-გვერდი: <http://www.iiiglobal.org>

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის დირექტორის წინასიტყვაობა

2000 წლის მაისში ამერიკის სამართლის ინსტიტუტმა საბოლოოდ დაამტკიცა ინსტიტუტის ტრანსნაციონალური გაკოტრების პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო. აღნიშნული სამუშაო მოიცავდა ოთხ თავს, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ (აღნიშნული პერიოდი აუცილებელი იყო ახლად მიღებული მექსიკის საგაკოტრებო კოდექსის გასათვალისწინებლად) გამოქვეყნდა 2003 წელს სახელწოდებით – ტრანსნაციონალური გაკოტრება: კოოპერაცია ნაფტა-ს წევრ სახელმწიფოებს შორის. აღნიშნული თავები მოიცავდა პროექტის პირველ ფაზას, კანადის, მექსიკისა და შეერთებული შტატების საგაკოტრებო კანონების მიმოხილვას, და პროექტის კულმინაციურ ფაზას – რომელიც შედგებოდა თავისაგან – კოოპერაცია ნაფტა-ს წევრ სახელმწიფოებს შორის. აღნიშნული სამუშაო მოიცავდა ნაფტა-ს წევრი სამივე სახელმწიფოს მომხსენებელთა და კონსულტანტთა ერთობლივ ნამუშევარს. ნამუშევარი გამოქვეყნდა Juris Publishing, Inc.-ის მიერ და მისი შეკვეთა შეიძლება ამერიკის სამართლის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (www.ali.org).

"პრინციპების" თავზე მუშაობისას წარმოიქმნა თანაპროექტი – სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო, რომელიც თან ერთვოდა აღნიშნულ თავს დანართ B-ს სახით და დამტკიცებულ იქნა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ 2000 წელს თავის დანარჩენ ნაწილებთან ერთად. მაგრამ სახელმძღვანელომ, პრინციპებისაგან დამოუკიდებლად, ძალზედ დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. იგი ითარგმნა და გავრცელდა რამოდენიმე ენაზე, გამოიყენება სასამართლოების მიერ, და დამოუკიდებლად დამტკიცდა საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტისა და კანადის საგაკოტრებო ინსტიტუტის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მისი შემუშავება მოხდა რათა ხელი შეეწყობოდა ნაფტა-ს წევრი სახელმწიფოების საგაკოტრებო სასამართლოების ურთიერთთანამშრომლობას, მისი მიღება და აღიარება საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის მიერ (რომლის წევრებიც არიან საგაკოტრებო ასოციაციების ხელმძღვანელები 40-ზე მეტი ქვეყნიდან) მიანიშნებს, რომ ამგვარი სახელმძღვანელოს მნიშვნელობა და გამოყენება სცილდება ნაფტა-ს ფარგლებს. ნამდვილად, არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს სახელმძღვანელო გაკოტრების საქმეებით; ამგვარი სახელმძღვანელო გამოსადეგი აღმოჩნდა, როცა კი მოითხოვებოდა მგრძობიარე და ნათელი სტანდარტები სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის ურთიერთთანამშრომლობისათვის. იხ. მაგ., ამერიკის სამართლის ინსტიტუტი, "საერთაშორისო იურისდიქცია და გადაწყვეტილებების პროექტი" §12(ე) (საცდელი პროექტი, 2003).

ამერიკის სამართლის ინსტიტუტი დიდ მადლობას უცხადებს საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტს მისი ძალისხმევით, რათა გამოცემულიყო სახელმძღვანელო და მომხდარიყო მისი გაცნობა მოსამართლეებისა და იურისტებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მადლობას იმსახურებს ასევე საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის თავმჯდომარე ე. ბრიუს ლეონარდი, რომელიც, როგორც კანადელი თანამომხსენებელი "ტრანსნაციონალურ საგაკოტრებო პროექტში", წარმოადგენდა სახელმძღვანელოს ინგლისური ტექსტზე მომუშავე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირს. იგი ასევე იყო პასუხისმგებელი ტექსტის სხვა ენებზე თარგმანის უზრუნველყოფასა და ზედამხედველობაზე. ასევე მადლობას უცხადებთ თავად მთარგმნელებს, რომელთა შრომის შედეგად სახელმძღვანელო გახდება უფრო მეტად ხელმწიფისაწვდომი. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ამგვარი მზარდი ხელმისაწვდომობა, როგორც ინფლისურ ისე სხვა ენებზე, ხელს შეუწყობს კომუნიკაციის სტიმულირებას და ჩვენს მზარდ გლობალიზებულ მსოფლიოში სხვადასხვა სასამართლოებსა და სამართლებრივ სისტემებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას.

ლანს ლიბმანი

დირექტორი

ამერიკის სამართლის ინსტიტუტი

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის თავმჯდომარის წინასიტყვაობა შესავალი

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი, რომელიც არის წამყვანი საგაკოტრებო პროფესიონალების, მოსამართლეების, მეცნიერებისა და მარეგულირებლების საერთაშორისო ასოციაცია, მოხარულია საზღვარგარეთის ქვეყნებში და მულტინაციონალური საქმეების საწარმოებლად, რეკომენდაცია გაუწიოს ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს მიღებას და გამოყენებას. სახელმძღვანელო განხილულ და შესწავლილ იქნა საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის კომიტეტის მიერ და ერთხმად იქნა დამტკიცებული მის წევრთა მიერ საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის ყოველწლიურ საერთო კრებაზე და კონფერენციაზე, ნიუ იორკში, 2001 წლის ივნისში.

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის მიერ სახელმძღვანელოს დამტკიცების შემდეგ, სახელმძღვანელო წარმატებით იქნა გამოყენებულ სხვადასხვა სახელმწიფოში მიმდინარე რამოდენიმე სამართალწარმოებაში კოორდინაციის მისაღწევად, რაც ასე აუცილებელია საერთაშორისო სამართალწარმოებაში ჩაბმულ კრედიტორთა ინტერესების დასაცავად. საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი მოუწოდება საგაკოტრებო პროფესიონალებსა და მოსამართლეებს, მიიღონ სახელმძღვანელო საერთაშორისო სამართალწარმოების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, რათა შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება შესაბამისი სასამართლოების მიერ ერთმანეთთან ურთიერთკომუნიკაციისას, მაგალითად, როდესაც ერთი სასამართლოს ქმედებებმა შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს იმ საკითხებზე, რასაც განიხილავს მეორე სასამართლო.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო შემუშავდა საგაკოტრების სამართლის კუთხით, სასამართლო პროფესიონალებისა და თავად მოსამართლეების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ სახელმძღვანელო ასევე ღირებული და კონსტრუქციული იქნება ნებისმიერ საერთაშორისო სამართალწარმოებაში, სადაც ჩართულია ორი ან მეტი სასამართლო. რეალურად, მრავალი იურისდიქციის მქონე სამართალწარმოებაში, სახელმძღვანელოს დადებითი ეფექტი განსაკუთრებით შესამჩნევია იმ საქმეებში, რომლებშიც ჩართულია რამოდენიმე სასამართლო. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სახელმძღვანელო მოითხოვს, რომ ადგილობრივი პრაქტიკა და პროცედურები იყოს შესაბამისობაში და სახელმძღვანელო არ ცვლიდეს ან ახდენდეს უარყოფით ზეგავლენას მხარეთა ძირითად უფლებებზე, ან ანიჭებდეს ერთ-ერთ მხარეს უპირატესობას სხვა მხარეებთან შედარებით.

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი მადლობას უცხადებს მის წევრებს, რომლებმაც უზრუნველჰყვეს სახელმძღვანელოს თარგმნა, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, კორეულ, იაპონურ, ჩინურ, პორტუგალიურ, რუსულ და შვედურ ენებზე და, აგრეთვე, ამერიკის სამართლის ინსტიტუტს, სახელმძღვანელოს ესპანურ ენაზე თარგმნისათვის. საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი ასევე მადლობას უცხადებს ამერიკის სამართლის ინსტიტუტს, ამერიკის საგაკოტრების კოლეჯს, და ონტარიოს უმაღლეს სასამართლოს ცომერციული რეესტრის კომიტეტს მათი დიდსულოვანი ფინანსური დახმარებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა სახელმძღვანელოს მრავალენოვანი ტექსტების გამოცემა და გავრცელება მსოფლიოს ძირითად ქვეყნებში.

მკითხველებს, რომელთაც გააჩნიათ ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, რომლებშიც გამოყენებულ იქნა სახელმძღვანელო, ვთხოვთ, ამგვარი საქმეების შესახებ მონაცემები აცნობონ საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტს (ფაქსი: 416-360-8877; ელ.-ფოსტა:

info@iiiglobal.org), რათა ყველამ შეძლოს ისარგებლოს იმ გამოცდილებითა და დადებითი შედეგებით, რაც გამომდინარეობს *სახელმძღვანელოს* მიღებიდან და გამოყენებიდან. *სახელმძღვანელოს* განგრძობადი პროგრესი და იმ საქმეთა ნუსხა, სადაც მოხდა *სახელმძღვანელოს* გამოყენება, მოცემულია საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.iiiglobal.org.

საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი და მისი წევრები მონარუნნი არიან, რომ მონაწილეობდნენ *სახელმძღვანელოს* შემუშავებასა და მის წარმატებაში, იწონებენ ამერიკის სამართლის ინსტიტუტის ხედვას *სახელმძღვანელოს* შემდგომი სრულყოფისა და მსოფლიოს მასშტაბით მისი გავრცელების კუთხით საგაკოტრებო პროფესიონალებისათვის, მოსამართლეებისათვის, მეცნიერებისათვის და მარეგულირებლებისათვის. *სახელმძღვანელოს* გამოყენება საერთაშორისო სამართალწარმოებებში უკეთესობისაკენ შეცვლის საერთაშორისო გაკტორებებსა და რეაბილიტაციებს (რეორგანიზაციებს), და ამდენად, საგაკოტრებო საზოგადოება დიდ ვალშია ამერიკის სამართლის ინსტიტუტის მიმართ იმ შთაგონებისა და ხედვისათვის, რამაც ყოველივე ეს შესაძლებელი გახადა.

ე. ბრიუს ლეონარდი
თავმჯდომარე
საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტი

ტორონტო, ნტარიო
მარტი, 2004 წ.

მოსამართლეთა წინასიტყვაობა

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასამართლოებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის უპირატესობები ცალსახად სასარგებლოა ყველა იმ მონაწილისათვის, ვინც ჩართულია გაკოტრებისა და რეორგანიზაციის საქმეებში, რომლებიც მიმდინარეობს რამოდენიმე ქვეყანაში. სასამართლოებს შორის კომუნიკაციების უპირატესობა საერთაშორისო სამართალწარმოებაში აღიარებულია გაეროს მიერ საზღვარგარეთ წარმოებული გაკოტრების საქმეების შესახებ მოდალური კანონით, რომელიც შემუშავდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ და დამტკიცებულ იქნა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1997 წელს. ურთიერთკომუნიკაციის დადებითი მხარეები ასევე აღიარებულ იქნა ევროკავშირის "დებულებაში საგაკოტრებო წარმოების შესახებ", რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ძალაში შევიდა 2002 წლიდან.

სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო შემუშავებულ იქნა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის ტრანსნაციონალური გაკოტრების პროექტის ფარგლებში და მოიცავდა ნაფტა-ს წევრ სახელმწიფოებს – მექსიკას, შეერთებულ შტატებსა და კანადას. სახელმძღვანელო მიღებულ იქნა ამერიკის სამართლის ინსტიტუტის წევრთა მიერ, და ასევე, საერთაშორისო საგაკოტრებო ინსტიტუტის მიერ, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება მსოფლიოს 40 ქვეყანას. ჩვენ გვესმის, რომ ყოველი ქვეყანა არის განსხვავებული და გამორჩეული, და თითოეულ ქვეყანას გააჩნია მისი საამაყო სამართლებრივი ტრადიციები და კონცეფციები. სახელმძღვანელო არ არის გამიზნული იმისათვის, რომ შეცვალოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ეროვნული წესები და პროცედურები, და ასევე არ ისახავს მიზნად სასამართლო წარმოებაში ჩართული მხარეებისათვის მათი ძირითადი უფლებების შეზღუდვას ან შელახვას. სახელმძღვანელოს მიზანია წაახალისოს და ხელი შეუწყოს ურთიერთთანამშრომლობას საერთაშორისო საქმეებში, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ საქმეებში ჩართული სასამართლოების შესაბამისი წესები და პროცედურები იყოს დაცული.

სახელმძღვანელო შესაძლოა შეიცვალოს, რათა დაცულ იქნას შესაბამისი პროცესუალური კანონმდებლობა ან კონკრეტული საქმის ცალკეული საკითხები, და ამ გზით მიღწეულ იქნას სასამართლოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მაქსიმალური დონე მრავალეროვნული საგაკოტრებო წარმოების ან ლიკვიდაციის პროცესში. ამასთან, სახელმძღვანელო არ შემოიფარგლება გაკოტრების საკითხებით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას არა-საგაკოტრებო საქმეებში, რომლებიც მოიცავენ ერთზე მეტ ქვეყანას. ზოგიერთი ჩვენთაგანის მიერ სახელმძღვანელო უკვე იქნა გამოყენებული სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებულ საქმეებში და ჩვენი რჩევაა გათვალისწინებულ იქნას ის უპირატესობა და სარგებელი, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას სახელმძღვანელოს გამოყენებით.

მოსამართლე ბ-ნი დევიდ ბარაგვანათი
ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლო
ოკლენდი, ახალი ზელანდია

უფროსი მოსამართლე ონალდ ი. ბრენერი
ბრიტანეთის კოლუმბიის უზენაესი
სასამართლო, ვაკუვერი

პატ. სიდნეი ბ. ბრუკსი
შეერთებული შტატების გაკოტრების
სასამართლო
კოლორადოს ოლქი
დენვერი

პატ. ჩარლზ გ. ქეიზი, II
შეერთებული შტატების გაკოტრების
სასამართლო
არიზონას ოლქი
ფენიქსი

მოსამართლე ბ-ნი მიოდრაგ დორდევიჩი
სლოვენის უზენაესი სასამართლო
ლუბლიანა

პატ. ჯეიმს ლ. გარიტი, უმც.
შეერთებული შტატების გაკოტრების
სასამართლო
ნიუ იორკის სამხრეთი ოლქი (გადამდგ.)
შერმან ენდ სტერლინგი
ნიუ იორკი

მოსამართლე ბ-ნი პოლ რ. ჰითი
ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლო
ოკლენდი, ახალი ზელანდია

უფროსი მოსამართლე ბარტონ რ. ლიფლენდი
შეერთებული შტატების მეორე საოლქო
სასამართლოს გაკოტრების საქმეთა
სააპელაციო პალატა
ნიუ იორკი

პატ. ჯორჯ ჰენი II
შეერთებული შტატების გაკოტრების
სასამართლო
ტენესის ოლქი
ნეშვილი
მოსამართლე ბ-ნი ადოლფო ან. როულონი
სააპელაციო სასამართლო
როზარიო, არგენტინა

მოსამართლე ბ-ნი ვისიტ ვიზიკორა
ტაილანდის მთავრობის ბიზნესის
რეორგანიზაციის სამსახური
ბანგკოკი

მოსამართლე ბ-ნი ჯ.მ. ფერლი
ონტარიოს უმაღლესი სასამართლო
ტორონტო

პატ. ალან ლ. გროპერი
შეერთებული შტატების გაკოტრების
სასამართლო
ნიუ იორკის სამხრეთი ოლქი
ნიუ იორკი

პატ. ჰიუნგდუ კიმი
კორეის უზენაესი სასამართლო
სეული

მოსამართლე ბ-ნი გევინ ლაითმენი
სამეფო სასამართლო
ლონდონი

პატ. ჩიონგ რიმი
საოლქო სასამართლო
სეულის დასავლეთი რაიონი
სეული, კორეა

პატ. შინჟირო თაკაგი
იაპონიის უზენაესი სასამართლო (გადამდგ.)
იაპონიის მრეწველობის აღმშენებლობის
კორპორაცია
ტოკიო

მოსამართლე ბ-ნი რ.პ. ზულმანი
სამხ. აფრიკის უზენაესი სააპელაციო
სასამართლო
პარკლენდსი

**სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში სასამართლოებს შორის
კომუნიკაციასთან დაკავშირებული
სახელმძღვანელო**

შესავალი:

სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სამართალწარმოებებში ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს კომუნიკაცია ამ სახელმწიფოების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის. გაკოტრებისა და რეორგანიზაციის (რეაბილიტაციის) პროცესებში სასამართლოების მნიშვნელობის გამო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შესაბამის სასამართლოებს გააჩნდეთ უნარი მოახდინონ მათი საქმიანობის კოორდინაცია, რათა ფინანსური სიძნელეების მქონე საწარმოსთან დაკავშირებულმა დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ მაქსიმალური სარგებელი.

წინამდებარე "სახელმძღვანელოს" მიზანია, სხვადასხვა იურისდიქციებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობით გააფართოვოს იმ გაკოტრების წარმოების კოორდინაცია და ჰარმონიზაცია, რომელიც მიმდინარეობს რამდენიმე ქვეყანაში. ამასთან, მოსამართლეების თანამშრომლობა სხვა ქვეყნების მოსამართლეებთან ან ადმინისტრატორებთან, თავისთავად წარმოშობს ნდობისა და სწორი პროცედურების საკითხებს. ცალკე აღებული ამგვარი გარემოებები სამართალწარმოებებში გარკვეული უნდობლობის საფუძველს ქმნის თუკი პროცესი არ იქნა გამჭვირვალე და ცალსახად სამართლიანი. ამდენად, ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოში მიმდინარე სამართალწარმოებებში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მგრძობიარეა, ვიდრე ადგილობრივ სამართალწარმოებებში. წინამდებარე "სახელმძღვანელომ" გამჭვირვალე პროცედურების საშუალებით უნდა წაახლისოს ურთიერთთანამშრომლობა. "სახელმძღვანელოს" მიზანია ხელი შეუწყოს სწრაფ თანამშრომლობას მიმდინარე გაკოტრების საქმეში და ამასთან, უზრუნველყოს ამგვარ საქმეში ჩართული მონაწილეებისათვის თანაბარი სამართლებრივი გარემოს შექმნა.

სასამართლომ, რომელიც აპირებს "სახელმძღვანელოს" გამოყენებას – მთლიანად, ან ნაწილობრივ; ცვლილებებით ან მათ გარეშე – ჯერ უნდა მოახდინოს მათი მიღება / აღიარება. სასამართლომ "სახელმძღვანელოს" მიღება შესაძლოა მოახდინოს იმ პირობით, რომ, ან დროებით, მანამ სანამ მოხდება "სახელმძღვანელოს" მიღება სხვა შესაბამისი სასამართლოების მიერ. "სახელმძღვანელოს" მიღება სასამართლოს შესაძლოა სურდეს მისი მიღება ან გამოყენება დამოკიდებული იყოს სხვა სასამართლოების მიერ "სახელმძღვანელოს" მიღებაზე მსგავსი ფორმით, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსამართლეების, ადვოკატების და სხვა მხარეთა მიმართ ქცევის განსხვავებული სტანდარტების გამოყენება.

"სახელმძღვანელოს" მიღება ხდება მხარეთათვის და ადვოკატებისათვის იმგვარი შეტყობინების მიწოდებით, რომელიც ადგილობრივი საპროცესო კანონმდებლობით მსგავს გარემოებებში გამოიყენება მნიშვნელოვანი პროცედურული გადაწყვეტილებებისას. იმ შემთხვევაში, თუ სასწრაფოდ უნდა მოხდეს სხვა სასამართლოებთან ურთიერთობის დაწყება, გამოყენებულ უნდა იქნას ის ადგილობრივი საპროცესო მოქმედებები (მათ შორის შეტყობინების მიწოდებასთან დაკავშირებული), რაც გამოიყენება სასწრაფო ან განსაკუთრებულ შემთხვევებში. აღნიშნული მოიცავს (სადაც ეს შესაძლებელია) ძალაში შესვლის საწყისი პერიოდის განსაზღვრას, რის შემდეგაც უნდა მოხდეს "სახელმძღვანელოს" შემდგომი განხილვა. ისეთი საკითხები, როგორცაა თუ ვის უნდა მიეწოდოს ამგვარი შეტყობინება (მაგალითად, ყველა მხარეს, ან მხარეთა წარმომადგენლებს, ან მხარეთა ადვოკატებს) და შეტყობინების გასაჩივრების განხილვა სასამართლოს მიერ (მაგალითად,

მხარეთა დაუსწრებლად) რეგულირდება თითოეული შესაბამისი იურისდიქციის საპროცესო ნორმებით და არ არის განხილული წინამდებარე "სახელმძღვანელოში".

"სახელმძღვანელო" არ არის უცვლელი და სტატიკური, არამედ უნდა მოხდეს მისი ადაპტაცია და შეცვლა, რათა მოერგოს ინდივიდუალურ გარემოებებს, და ასევე უნდა მოხდეს მათი შეცვლა და სრულყოფა "სახელმძღვანელოზე" მუშაობისას საერთაშორისო საგაკოტრებო საზოგადოების გამოცდილების ზრდასთან ერთად. "სახელმძღვანელოს" გამოყენება უნდა მოხდეს იმ ფორმით, რაც შეესაბამება ადგილობრივ პროცედურებსა და ადგილობრივ ეთიკურ ნორმებს. "სახელმძღვანელო" არ განსაზღვრავს შეტყობინების დეტალებსა და მისი მიწოდების პროცედურებს, რაც დამოკიდებული იქნება თითოეულ იურისდიქციაში მოქმედ კანონებზე და არსებულ პრაქტიკაზე. "სახელმძღვანელო" წარმოადგენს იმ მიდგომათა ერთობლიობას, რისი გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეფექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებულ საგაკოტრებო საქმეებში. ამდენად, რეკომენდირებულია მისი გამოყენება იმგვარი ცვლილებებით და იმ პირობებში, რაც მიზანშეწონილია თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში.

წესი 1

გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, მანამ სანამ მიმართავს სხვა სასამართლოს, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ამგვარი მიმართვა სრულად შეესაბამება მის ქვეყანაში მოქმედ საპროცესო ნორმებს. როდესაც სასამართლო აპირებს "სახელმძღვანელოს" გამოყენებას, ამგვარ გამოყენებამდე (მთლიანად ან ნაწილობრივ, ცვლილებებით ან მათ გარეშე) სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს მისი ფორმალური მიღება (დამტკიცება). ძალზედ სასურველია "სახელმძღვანელოს" კოორდინირება სასამართლოებს შორის და ამდენად, ორივე სასამართლოს ოფიციალურმა პირებმა წესი №8(დ)-ს შესაბამისად უნდა ითანამშრომლონ "სახელმძღვანელოს" გამოყენებასთან დაკავშირებით.

წესი 2

სასამართლო უფლებამოსილია სხვა სასამართლოს აცნობოს იმ საკითხების თაობაზე, რაც დაკავშირებულია მის მიერ განსახილველ საქმეებთან, რათა მოხდეს მის მიერ განსახილველი საქმეების კოორდინაცია და ჰარმონიზაცია სხვა იურისდიქციებში განსახილველ საქმეებთან.

წესი 3

სასამართლო უფლებამოსილია დაუკავშირდეს სხვა იურისდიქციის გაკოტრების ადმინისტრატორს (მმართველს) ან ამგვარი სხვა იურისდიქციის სასამართლოს უფლებამოსილ წარმომადგენელს მის მიერ განსახილველი საქმეების კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის მიზნით სხვა იურისდიქციებში წარმოებულ საქმეებთან.

წესი 4

სასამართლოს შეუძლია ნება დართოს სათანადოდ უფლებამოსილ გაკოტრების ადმინისტრატორს, რათა ეს უკანასკნელი დაუკავშირდეს უცხოურ სასამართლოს პირდაპირ (იმ პირობით, რომ უცხოური სასამართლო განაცხადებს თანხმობას ამაზე), ან უცხოური იურისდიქციის გაკოტრების ადმინისტრატორის მეშვეობით, ან უცხოური სასამართლოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, იმ პირობებით, რასაც სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად.

წესი 5

სასამართლოს შეუძლია მიიღოს შეტყობინებები უცხოური სასამართლოსაგან, ან უცხოური სასამართლოს უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან, ან უცხოელი გაკატორების ადმინისტრატორისაგან და უნდა გაგზავნოს საპასუხო შეტყობინებები პირდაპირ, როდესაც შეტყობინება მიეწოდება უცხოურ სასამართლოს (წესი №7-ის გათვალისწინებით, ორმხრივი კომუნიკაციის დროს), და ასევე შეუძლია გაგზავნოს საპასუხო შეტყობინებები პირდაპირ ან სასამართლოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, ან სათანადოდ უფლებამოსილი გაკატორების ადმინისტრატორის მეშვეობით, თუკი შეტყობინება მიეწოდება უცხოელ გაკატორების ადმინისტრატორს (ცალმხრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებით მოქმედი ადგილობრივი წესების გათვალისწინებით).

წესი 6

კომუნიკაციას სასამართლოებს შორის შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასამართლოს მიერ ან მისი მეშვეობით:

- (ა) საბოლოო გადაწყვეტილებების, განჩინებების, დასკვნების, გადაწყვეტილებების დასაბუთების, დადასტურებების, სხდომის ჩანაწერების, ან სხვა დოკუმენტების ასლების სხვა სასამართლოსათვის გაგზავნით ან მიწოდებით, და შესაბამისი მხარეების ადვოკატებისათვის წინასწარი შეტყობინების მიწოდებით იმ ფორმით, რასაც სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად;
- (ბ) ადვოკატისაგან, ან უცხოური ან ადგილობრივი გაკატორების ადმინისტრატორისაგან დოკუმენტების, სარჩელების, წერილობითი ჩვენებების, საქმის ფაქტების, მიმოხილვების, ან სხვა დოკუმენტების (რომლებიც წარდგენილია ან წარედგინება სასამართლოს) სხვა სასამართლოსათვის გადაგზავნის ან მიწოდების მოთხოვნით. ამგვარი მოთხოვნა დაყენებულ უნდა იქნას მიზანშეწონილი ფორმით და წინასწარი შეტყობინება უნდა მიეწოდოს შესაბამის მხარეთა ადვოკატებს იმ ფორმით, რასაც სასამართლო მიიჩნევს მართებულად.
- (გ) სხვა სასამართლოებთან ორმხრივ კომუნიკაციებში მონაწილეობით, სატელეფონო, ვიდეო ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება წესი №7.

წესი 7

№2 და №5 წესების შესაბამისად, სატელეფონო, ვიდეო, ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით სასამართლოებს შორის კომუნიკაციისას, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული რომელიმე სასამართლოს მიერ:

- (ა) თითოეული მონაწილე მხარის ადვოკატი უფლებამოსილია პირადად მიიღოს მონაწილეობა ამგვარ კომუნიკაციაში და ამის თაობაზე წინასწარი შეტყობინება უნდა მიეწოდოს თითოეულ მონაწილე მხარეს შესაბამის სასამართლოსთან მიმართებაში მოქმედი საპროცესო ნორმების დაცვით;
- (ბ) ნებისმიერი კომუნიკაცია სასამართლოებს შორის უნდა იყოს ჩაწერილი და ასევე, შესაძლოა იყოს სტენოგრაფიულად ჩაწერილი. წერილობითი ჩანაწერი შესაძლოა მომზადდეს კომუნიკაციის ჩანაწერიდან, რომელიც ორივე სასამართლოს თანხმობით მიიჩნევა კომუნიკაციის ოფიციალურ ჩანაწერად;

- (ვ) კომუნიკაციის ნებისმიერი ჩანაწერის, რომელიმე სასამართლოს მითითებით გაკეთებული სტენოგრაფიული ჩანაწერის, ან ჩანაწერის საფუძველზე მომზადებული ოფიციალური წერილობითი ჩანაწერის ასლი შენახულ უნდა იქნას, როგორც სამართალწარმოების ამსახველი ჩანაწერების ნაწილი და, კონფიდენციალურობის თაობაზე სასამართლოთა მითითებების გათვალისწინებით, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველა მხარის ადვოკატისათვის ორივე სასამართლოში; და
- (დ) სასამართლოებს შორის კომუნიკაციის დრო და ადგილი უნდა იყოს ორივე სასამართლოსათვის მისაღები. თითოეული სასამართლოს პერსონალი (გარდა მოსამართლეებისა) შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს რათა მიიღონ შესაბამისი ზომები კავშირის დასამყარებლად. ადვოკატთა მონაწილეობა აუცილებელი არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რომელიმე სასამართლო სხვაგვარად მოითხოვს.

წესი 8

№3 და №5 წესების შესაბამისად, სატელეფონო, ვიდეო, ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით სასამართლოსა და უცხოური სასამართლოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, ან უცხოელ გაკოტრების ადმინისტრატორს შორის კომუნიკაციისას, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული სასამართლოს მიერ:

- (ა) თითოეული მონაწილე მხარის ადვოკატი უფლებამოსილია პირადად მიიღოს მონაწილეობა ამგვარ კომუნიკაციაში და ამის თაობაზე წინასწარი შეტყობინება უნდა მიეწოდოს თითოეულ მონაწილე მხარეს შესაბამის სასამართლოსთან მიმართებაში მოქმედი საპროცესო ნორმების დაცვით;
- (ბ) ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა იყოს ჩაწერილი და ასევე, შესაძლოა იყოს სტენოგრაფიულად ჩაწერილი. წერილობითი ჩანაწერი შესაძლოა მომზადდეს კომუნიკაციის ჩანაწერიდან, რომელიც სასამართლოს თანხმობით მიიჩნევა კომუნიკაციის ოფიციალურ ჩანაწერად;
- (გ) კომუნიკაციის ნებისმიერი ჩანაწერის, სასამართლოს მითითებით გაკეთებული სტენოგრაფიული ჩანაწერის, ან ჩანაწერის საფუძველზე მომზადებული ოფიციალური წერილობითი ჩანაწერის ასლი შენახულ უნდა იქნას, როგორც სამართალწარმოების ამსახველი ჩანაწერების ნაწილი და, კონფიდენციალურობის თაობაზე სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მეორე სასამართლოსათვის და ყველა მხარის ადვოკატისათვის ორივე სასამართლოში; და
- (დ) კომუნიკაციის დრო და ადგილი უნდა იყოს სასამართლოსათვის მისაღები. სასამართლოს პერსონალი (გარდა მოსამართლეებისა) შეიძლება დაუკავშირდეს უცხოური სასამართლოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, ან უცხოელ გაკოტრების ადმინისტრატორს რათა მიიღონ შესაბამისი ზომები კავშირის დასამყარებლად. ადვოკატთა მონაწილეობა აუცილებელი არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად მოითხოვს.

წესი 9

სასამართლოს შეუძლია სხვა სასამართლოსთან ერთად ჩაატაროს საქმის ერთობლივი მოსმენა. თუკი სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი, ან თუ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული ერთობლივ მოსმენასთან დაკავშირებით მანამდე დამტკიცებული ოქმით, ამგვარი ერთობლივი მოსმენისას მოქმედებს შემდეგი წესები:

- (ა) თითოეულ სასამართლოს უნდა ჰქონდეს საშუალება იმავდროულად მოისმინოს საქმე მეორე სასამართლოში;
- (ბ) ერთ-ერთ სასამართლოში წარდგენილი ან წარსადგენი მტკიცებულებები ან წერილობითი მასალები, სასამართლოს მითითებების შესაბამისად, წინასწარ უნდა მიეწოდოს მეორე სასამართლოს ან იყოს ელექტრონული ფორმით, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ სისტემაში. მეორე სასამართლოსათვის ამგვარი მასალების მიწოდება, ან მომხმარებლისათვის მისი ხელმისაწვდომობა ელექტრონულ სისტემაში არ იწვევს ამ მასალის ერთ სასამართლოში წარმდგენი მხარის დაქვემდებარებას მეორე სასამართლოს იურისდიქციისადმი.
- (გ) რომელიმე მხარის წარმომადგენლის მიერ დოკუმენტებისა და განცხადებების წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომელშიც ხდება ამგვარი წარმომადგენლის მოსმენა. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე სასამართლო ცალსახად დართავს ნებას ამ წარმომადგენელს მას წარუდგინოს დოკუმენტები და განცხადებები.
- (დ) წესი № 7(ბ)-ს გათვალისწინებით, ერთობლივი მოსმენის შემდეგ, სასამართლო უფლებამოსილია დაუკავშირდეს მეორე სასამართლოს (ადვოკატთა თანდასწრებით, ან მათ გარეშე), რათა დადგინდეს რამდენად შესაძლებელია ორივე სასამართლოს მიერ მაკორდინირებელი გადაწყვეტილებების მიღება, და მოხდეს ერთობლივ მოსმენასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პროცედურული არამატერიალური საკითხების კოორდინაცია და გადაწყვეტა.

წესი 10

სასამართლო ვალდებულია აღიაროს სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა იურისდიქციაში არსებული კანონების, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული აქტების დებულებები და ზოგადი ხასიათის სასამართლო გადაწყვეტილებები, და განიხილოს ძინი, როგორც ნამდვილი და სწორი, შემდგომი მტკიცებულებებისა და დადასტურების გარეშე. აღნიშნულიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას ეს კანონიერად იქნება გასაჩივრებული და, ამასთან, მხოლოდ ამგვარი საჩივრის ფარგლებში.

წესი 11

სასამართლო ვალდებულია მიიღოს და აღიაროს, რომ სხვა იურისდიქციაში წარმოებულ საქმეებში განჩინებები მიღებულ იქნა ან ძალაში შევიდა შესაბამის თარიღებში კანონიერად და სწორად, და ასევე აღიაროს, რომ ამგვარ განჩინებებთან მიმართებაში არ მოითხოვება რაიმე დამატებითი მტკიცებულება, ან დადასტურება მის მიერ წარმოებულ საქმესთან მიმართებაში. აღნიშნულთან მიმართებაში დასაშვებია იმგვარი დათქმები, რაც სასამართლოს აზრით მიზანშეწონილია განჩინების შესაძლო გასაჩივრების ან მისი შეცვლიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას ეს კანონიერად იქნება გასაჩივრებული და, ამასთან, მხოლოდ ამგვარი საჩივრის ფარგლებში.

წესი 12

სასამართლოს შეუძლია მოახდინოს მის მიერ წარმოებული საქმის კოორდინაცია სხვა იურისდიქციაში წარმოებულ საქმესთან "ადრესატთა სიის" შემუშავებით. სია უნდა მოიცავდეს

იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან სხვა იურისდიქციის სასამართლოს მიერ წარმოებულ საქმესთან დაკავშირებით მიიღონ შეტყობინებები ("არარეზიდენტი მხარეები"). სასამართლოს მიერ შესაძლოა მოთხოვნილ იქნას სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით წარსადგენი ყველა შეტყობინების, განცხადების, შუამდგომლობის და სხვა მასალების მიწოდება "არარეზიდენტი მხარეებისათვის". აღნიშნული კი უნდა განხორციელდეს ამგვარი მასალების ელექტრონული ფორმით, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ სისტემაში არსებობით, ან ფაქსის საშუალებით გადაცემით, დამოწმებული და დაზღვეული ფოსტის ან კურიერის საშუალებით გაგზავნით, ან ნებისმიერი სხვა ფორმით, როგორც ამას განსაზღვრავს სასამართლო სასამართლოში არსებული პროცედურების შესაბამისად.

წესი 13

სასამართლომ შესაძლოა გამოსცეს განჩინება ან მითითება, რომლითაც უცხოელ გაკოტრების ადმინისტრატორს, ან სხვა იურისდიქციაში წარმოებული საქმის კრედიტორთა წარმომადგენელს, ან უცხოური იურისდიქციის სასამართლოს უფლებამოსილ წარმომადგენელს ნება დაერთვება გამოცხადდეს და წარდგეს სასამართლოს წინაშე ისე, რომ არ დაექვემდებაროს ამ სასამართლოს იურისდიქციას.

წესი 14

სასამართლოს შეუძლია მიუთითოს, რომ სამართალწარმოების გადავადება, რომელიც შეეხება შესაბამის მხარეებს, (სასამართლოს შემდგომი განჩინებების გათვალისწინებით) არ ვრცელდება ამ მხარეთა მიერ სხვა სასამართლოში წარდგენილ განცხადებებსა და შუამდგომლობებზე. სასამართლოს ასევე შეუძლია ნება დართოს ამგვარ მხარეებს განცხადებების ან შუამდგომლობების სხვა სასამართლოში წარსადგენად იმ პირობებით, რასაც სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად. იმ შემთხვევაში, თუ ერთ სასამართლოში წარდგენილ განცხადებას ან შუამდგომლობას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს სხვა იურისდიქციის სასამართლოს მიერ განხილულ საკითხებზე ან სამართალწარმოებაზე, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს №6 და №7 წესებით გათვალისწინებულ კომუნიკაციას სასამართლოებს შორის.

წესი 15

სასამართლო შეიძლება დაუკავშირდეს სხვა იურისდიქციის სასამართლოს, ან ამგვარი სასამართლოს უფლებამოსილ წარმომადგენელს იმ ფორმით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე "სახელმძღვანელოთი", რათა მოხდეს მის მიერ წარმართული საქმისა და სხვა იურისდიქციის წარმართული საქმის წარმოების კოორდინაცია და ჰარმონიზაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მის მიერ და სხვა სასამართლოს მიერ წარმართული სამართალწარმოებების ფორმის მიუხედავად, თუკი არსებობს განსახილველ საკითხთა და/ან მონაწილე მხარეთა იდენტურობა / მსგავსება. თუკი არ არსებობს სხვა ცალსახა მიზეზები, სასამართლო ვალდებულია, დაუკავშირდეს სხვა იურისდიქციის სასამართლოს, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს.

წესი 16

ამ "სახელმძღვანელოს" შესაბამისად სასამართლოს მიერ გაცემული მითითებები შესაძლოა ჩანაცვლდეს, შეიცვალოს ან დაიხვეწოს იმდაგვარად, როგორც სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე და იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც დროდადრო განხორციელდება ამ ან სხვა სასამართლოში მიმდინარე

სამართალწამოებისას. ნებისმიერი მითითება შეიძლება იქნას დროდადრო ჩანაცვლებული, შეცვლილი ან ხელახლა ფორმულირებული და ამგვარი ცვლილება ან ხელახალი ფორმულირება ძალაში შევა ორივე სასამართლოს მიერ მისი აღიარების / მიღების შემდეგ. თუ რომელიმე სასამართლო აპირებს ჩანაცვლოს, შეცვალოს ან გააუქმოს ამ "სახელმძღვანელოს" შესაბამისად გაცემული ნებისმიერი მითითება ორივე სასამართლოს ერთობლივი დამტკიცების გარეშე, ამგვარმა სასამართლომ სხვა შესაბამის სასამართლოებს უნდა აცნობოს ამგვარი განზრახვის შესახებ.

წესი 17

ამ "სახელმძღვანელოთი" გათვალისწინებული ღონისძიებები არ გულისხმობს სასამართლოს მიერ მისი ნებისმიერი უფლების, პასუხისმგებლობის ან უფლებამოსილების შეზღუდვას ან მათზე უარის თქმას, და არ წარმოადგენს ამ ან სხვა სასამართლოს წინაშე განსახილველი რომელიმე მატერიალური საკითხის გადაწყვეტას, და ასევე არ გულისხმობს რომელიმე მხარის მიერ მის რომელიმე მატერიალურ უფლებაზე და სარჩელზე უარის თქმას, ან სასამართლოს ან სხვა სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების მოქმედების შეზღუდვას.